საჯარო სამართლის იურიდიული პირი ლ. საყვარელიძის სახელობის

**დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი**

National center for Disease Control & Public Health

KA030643820079320

საქართველო, ქ. თბილისი, 0198, კახეთის გზატკეცილი N99; ტელ: (+995 32) 2192595; ცხელი ხაზი: 116001
Kakheti Highway N99, 0198, Tbilisi, Georgia; Tel: (995-32) 2192595; Hot line: 116001; E-mail: ncdc@ncdc.ge

#06/1190

**07 / აპრილი / 2020 წ.**

შპს ,,ანტისეპტიკ"-ის დირექტორის დავით მამმიშვილის

ბატონო დავით,

სსიპ ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში განხილული იქნა თქვენი განცხადება, საქართველოში, შპს ,,ანტისეპტიკ"-ის მიერ წარმოებული სადეზინფექციო საშუალება "ფარი"-ს რეგისტრაციის შესახებ და წარმოდგენილი დოკუმენტაცია: 1.ინფორმაცია სადეზინფექციო საშუალების გამოყენების სფეროს, წესებისა და პირობების შესახებ.2. უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელი 3.დასკვნა საშუალების მადეზინფიცირებელი ეფექტის შესახებ.

ბაქტერიებისა და ვირუსების ეროვნული საცავის ლაბორატორიაში შემოწმებულ იქნა სადეზინფექციო საშუალება "ფარი" -ს მადეზინფიცირებელი ეფექტი S. aureus ATCC 25923, P.aeruginosa ATCC 27853 , E.coli ATCC25922 და E. hirae ATCC 10541 შტამებით. სადეზინფექციო საშუალება მითითებული ექსპოზიციით უზრუნველყოფს მიკრობების გაუვნებლობა და შესაძლებელია სადეზინფექციო ხსნარის გამოყენება მეთოდური რეკომენდაციის შესაბამისად.

**გამოყენების მეთოდი**

„ფარი" წარმოადგენს გამჭვირვალე უფერო, აქროლად სითხეს სპირტისთვის დამახასიათებელი სუნით, რომლის შემადგენლობაში შედის: ეთანოლი 83,3% , გლიცეროლი 1,45 %, წყალი 11,05% და წყალბადის ზეჟანგი 4,17 %.

| რეკომენდაცია | ზემოქმედების დრო |
|---|---|
| ხელის ჰიგიენური დამუშავებისთვის | ხსნარის 5მლ-ის რაოდენობით დაიტანეთ ხელზე, ექსპოზიციის დრო 1,5-2წთ. |

**უსაფრთხოების წესები**

„ფარი"-ს გამოყენება დაუშვებელია სადეზინფექციო საშუალების ვარგისიანობის ვადის გასვლის შემდეგ; საშუალების გამოყენებისას აუცილებელია სამედიცინო პერსონალმა გაეცნოს ეტიკეტს, ინფორმაციას პროდუქტის შესახებ და დაიცვას უსაფრთხოების წესები. დაუშვებელია ანტისეპტიკურ სითხეზე სხვა სითხის დამატება.

**შეფუთვა და ეტიკეტირება, შენახვის ვადები**

"ფარი"-ს ხსნარი შეფუთულია ქარხნული წესით (50,100,150 მლ ბოთლები). შენახვის ვადა მითითებულია ეტიკეტზე. ინახება მშრალ, გრილ სათავსოში კვების პროდუქტებისაგან მოშორებით. არ შეინახოთ 40$^{0}$C მაღალ ტემპერატურაზე.

**მწარმოებელი**

შპს „ანტისეპტიკ", ქ თბილისი პავლე ასლანიდის ქ 23-25

ტელ:+995 577 04 48 47

**ჰიგიენური დასკვნა**

„ფარი" წარმოადგენს სადეზინფექციო საშუალებას, რომელიც განკუთვნილია ხელისა ჰიგიენური დამუშავებისათვის, მეთოდური რეკომენდაციების შესაბამისად საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებსა და სამედიცინო -პროფილაქტიკურ, საგანმანათლებლო დანიშნულების დაწესებულებებში .

პატივისცემით,

გენერალური დირექტორის მოადგილე

ხელმოწერილია/ შეთანხმებულია ელექტრონულად

ირმა ხონელიძე